**დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. 21 ნოემბერს, ბოლოსწინა ტურში, მინსკის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 7:2 დაამარცხეს ვილნიუსის „ჟალგირისი“.**

თბილისის დინამოელებმა, როგორც ვიტყობინებოდით, დნეპროპეტროვსკში მოუგეს ადგილობრივ „დნეპრს“ – 3:2 (1:1).

ანგარიში მე-6 წუთზე  გახსნა კეტაშვილმა, რომელმაც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ცაავას მიერ წამოწყებული კომბინაცია. იგი სულ რამდენიმე მეტრის დაცილებით აღმოჩნდა მასპინძელთა კართან და კარგად გამოიყენა თავისი შანსი.

დნეპროპეტროვსკელები ამის შემდეგ ბევრს უტევდნენ. დინამოელთა მეკარემ გაბელიამ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია, მაგრამ 41-ე წუთზე „დნეპრის“ თვდამსხმელმა პროტასოვმა მაინც მიაღწია საწადელს და გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

მიმდინარეობდა თამაშის 67-ე წუთი, როცა მასპინძელთა მეკარე გოროდოვთან პირისპირ გასული მახარაძე უხეშად წააქციეს. მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და ჩელებაძემ ზუსტად დაარტყა მიზანში - 2:1. ათიოდე წუთის შემდეგ დნეპროპეტროვსკელებმა ხელმეორედ აღადგინეს თანაფარდობა ჩერედნიკის უძლიერესი დარტყმის შემდეგ, მაგრამ 78-ე წუთზე გურულის ზუსტი გადაცემა კარგად გამოიყენა ცაავამ, კვლავ დააწინაურა „დინამო“ და ეს ანგარიში - 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ ბოლომდე შემორჩა ელექტროტაბლოს.

მეტოქეთა შემადგენლობანი:

**„დნეპრი“ - გოროდოვი, ჩერედნიკი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, სოროკალეტი, ლიუტი, შოხი, ლიტოვცენკო, ბაგმუტი (კუდრიცკი), პროტასოვი, ტარანი;**

**„დინამო“ - გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია, მახარაძე, კაკილაშვილი, სვანაძე, ჟორდანია (გურული), ცაავა (ჩეკუნოვი), ჩელებაძე, ჯოხაძე.**

**მსაჯი ა. ხორლინი (მოსკოვი).**

**დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა „დნეპრის“ გამარჯვებით 5:2.**

**ამრიგად, 1986 წლის სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, თბილისის „დინამომ“ პირველ ხუთეულში გაინაღდა ადგილი. გაისად იგი მონაწილეობას მიიღებს უეფა-ს ტურნირზე.**

**23.11.1986**